

ივერიის

ბაზითი ღირს:

თვ	მან.	კ.	თვ	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	0	5	5	50
01	8	5	4	4	75
9	8	—	3	3	50
5	7	2	2	2	75
7	6	5	1	1	50

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზითის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბუღებად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
ვაშვრც. საზოგადოების კანცელიარის.
ფასი განცხადებასა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი, 6 თებერვალი.

გაწეტი „კავკასი“ არა სცხრება. არ იქნა, ჩვენი ქართველური ვერა მოვარდნით — რა. მოწონებას ვინა ჰფიქრობს. შესაძლოა, ბევრი წუნი გეჭონდეს და რად უნდა აეკრძალოს გაზეთს, რომ გამოგვიძღვანოს ის წუნი. ოღონდ ყველაფერს, ქება იქნება, თუ კიცხვა, სამართლიანი და საბუთიანი მიზეზი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ მაშინა აქვს ფასი ქებასაც და კიცხვასაც, როცა ერთი და მეორეც აგებულა საბუთზე და გულმართლობაზე. ჩვენ ვამბობთ მაშინა აქვს ფასი. ფასი კი არა, მხოლოდ მაშინა არის დასტამბული სიტყვა ღირსი თავისი წმინდა დანიშნულებისა, უამისოდ კი ყველა სხვა სიტყვაზე უფრო საძაგელია, საგმობელი და საზიზარო.

ჩვენ გვიკვირს, რომ იმისთანა ოფიციალური გაზეთი, როგორც „კავკასია“, ღირსებას დასტამბულის სიტყვისას არაფრად ჰხადის. მოგვდგომია, ბატონებო, ჩვენ, ქართველებს და ილია ხონელის პირით იღრინება ყოველს იმაზე, რაც, ჩვენის შეძლებისამებრ, ასე თუ ისე დაგვიწყვიდა და რასაც, ჩვენის შეძლებისამებრვე, ასე თუ ისე ვაწარმოებთ, რომ როგორმე და რითიმე ჩვენის თავის საჭიროებას და ვაგლახს გავუ-

ძღვეთ. არც ერთი ჩვენ მიერ დაწყებული და წარმართული საქმე არ გადარჩენია „კავკასის“, რომ ილია ხონელის წარამარა კალმის წვერით არ აავდოს ქვა და არ შეუშვიროს თავი. ჩვენი დრამატული საზოგადოება გნებავთ, ჩვენი სათავად აზნაურო ბანი, თუ ეს ახალი საზოგადოება სამეურნოე ურთიერთობის კრედიტისა ყველგან და ყოველს-ფერში თუ ჩვენი მოხუცი „კავკასი“ იტყვის რასმე, უსათუოდ იმისთანას, რომ ერთსაც, მეორესაც და მესამესაც სახელი გაუტეხოს, თავზე ლაფი დაასხას, მიწასთან გაასწოროს, გაჩენისვე უმად მოაკვდინოს, თითქო ყოველივე ქართული თვალში ეკლავა აქვს გაყრილი. ისეც მომხდარა, რომ „კავკასი“ ერთსა და იმავე ნომერში ერთს გვერდზე ერთს ამბობდეს და მეორეზე ილია ხონელის მოწყალეობით თავისსავე ნათქვამს მთლად და სრულიად უარ-ჰყოფდეს. თუ „კავკასის“ ჰნებავს, ამის არა ერთსა და ორს მაგალითს ვაჩვენებთ.

არ ვიცით, — რას მივაწეროთ ყოველივე ეს? რა დაუშავა ქართველობამ „კავკასის“, რომ ასე გვექცევა და ამ სახით გვეთხროს იმას, რასაც ჩვენ ჩვენის მოკლე ღონით ვაწვინებთ? ეს მით უფრო საკვირველია, რომ „კავკასი“ ოფიციალური გაზეთია და პატრივი სიტყვისა ამისათვის უფრო სავალდებულოა და მართებული. ეს

უფრო ფრთხილი და წინ-დახედული უნდა იყოს, როცა რასმე ამბობს და უნდა ერთდებოდეს ყოველს წარამარა და უწმაწურს ლათაიებს იმისთანა მწერლისას, რომლისათვისაც გრძნობა სიმართლისა, მიუდგომელობისა — ეს აუცილებელი ღირსება კაცურ-კაცობისა — ღმერთს არ მიუნიჭებია. თორემ აქაო და „კავკასი“ ოფიციალური გაზეთია, ბევრი ისე მიიჩნევს, ვითომც აქაური ოფიციალური წერც „კავკასის“ ნათქვამის თანამოზიარეა, მისის სიტყვის თანახმაა, მისის აზრისაა.

მართალია, „კავკასისა“ წერილებს, რომელნიც ჩვენს საქმეებს ასე სთხრის და თავზე ლაფს ასხამს, ქვეშ ილია ხონელის სახელი აწერია და ილია ხონელი ყველამ კარგად იცის რა არის და ვინ არის. მაგრამ მაინც კიდევ „კავკასია“ პასუხის-გებისაგან ვერ გამოვა და ვერ იმართლებს თავს იმით, რომ ილია ხონელი ხომ იციან რა კაცია და ყურს ვინ ათხოვებსო. თუ ასე ჰფიქრობს „კავკასია“, მაშ რაღაა ჰბეჭდავს იმისთანა წერილებს, რომელსაც ყურს არ ათხოვებენ? აშკარაა, აქ სულ სხვა ამბავია, თორემ ამითი როგორ აიხსნება ესეთი დაეინებული და დაუცხრომელი დევნა ჩვენის საქმეებისა, მათი ავად-ხსენება, უსამართლოდ, უსაბუთოდ მოთხრა, უსაბუთოდ სახელის გატეხვა.

აკი ვამბობთ, მაღლობელნიც ვიქნებით, თუ რომ „კავკასი“ ჩვენს ავსა და ცუდს გავვიძღვანებთ, დაგვანახებთ, კარგს რასმე გვიჩვენებს, კარგს რასმე დაგვარიგებს. ვინ სულელი იტყვის, რომ ჩვენ, ქართველები, ყველაფრით სრულნი და სავსენი ვიყვნეთ. ჩვენც ადამიანები ვართ და ადამიანი უნაკლულად არსად გაუჩენია ღმერთს. ამ ნაკლებობისაგან არიან საქმენიც ადამიანისა. სრულ-ყოფილად საქმე არავის გაუჩენია. დროსა და გამოცდილებას ყოველთვის უსწორებია პირველში არ-დანახული ავ-კარგანობა ახლად გაჩენილის საქმისა. რომელი კაციც უფრო შორს გააწვდენს თვალს, უფრო დიდს მანძილზე გაუსინჯავს და მოუჩხრეკს გზას ახლად გაჩენილს საქმეს, მით უფრო სასურველია და მაღლობის ღირსი, როცა იგი კაცა თავის დანახულს და გასინჯულს გვაუწყებს. ხოლო ყოველს ამას ჰქუა უნდა, ცოდნა უნდა, თავის სინათლის ქონება უნდა. ვინ ილია ხონელი და ვინ ჰქუა, ვინ ცოდნა, ვინ თვალის სინათლე?..

ჩვენ სირცხვილად მიგვაჩნია, ჩვენი ქვეყანა ისე გაუკაცურებულად იქნას ვინმემ, რომ ილია ხონელი დამრიგებლად და გზის მასწავლებლად გავიხადოს!.. გულიწრფელი მაინც ჰქონდეს მაგ დალოცვილსა, სხვას ყველაფერს და

ვეგრდებოდით, სხვას ყველაფერს, როგორც იქნება, ავიტანდით, შევიწყნარებდით. ჩვენდა სამწუხაროდ, ესეც არ გამოუმეტნია მისთვის ღმერთსა. აუღია, ბატონებო, კალამი და აქაო რედაქცია „კავკასისა“ კბილს არ მიჩხრეკსო, გულწრფელობას და სიმართლეს მგვარში ახვევს და ტყუილების გუდას პირს მოხსნის ხოლმე. ალბად იმისი იმედი აქვს, რომ რედაქციას „კავკასისას“ ჩვეულებად დასჩემებია განუკითხველად ჰბეჭდოს ის, რაც ილია ხონელს თავისი ანგარიშებისათვის ენაზე მოადგება.

ამის დასამტკიცებლად შორს სიარული არ მოგვიწევს. საკმაო მოვიყვანათ საბუთი იმ ფელეტონიდან, რომელიც „კავკასიაში“ (№ 26) დაბეჭდილი ილია ხონელისაგან. „კავკასის“ რედაქციას ცხვირ წინ ჰქონდა საბუთები და მარტო ნახევარსათი ვარჯა მოუწოდებდა, რომ შეეტყო რამოდენად მართალია ყოველივე ის, რაც ილია ხონელმა ჩვეულებისამებრ იკადრა და არ ითაკილა, ოღონდ-კი სახელი გაუტეხოს ახლად გაჩენილს საზოგადოებას სამეურნოე კრედიტისას და თავზე ლაფი დაასხას მისთა გამგებელთა და წარმართველთა. ეს საბუთები იგი ბალანსებია, რომელიც თვით „კავკასივე“ იბეჭდებოდა სამეურნოე კრედიტის გამგებლისაგან. რა დიდი რამ იყო,

ფელეტონი

ს ა უ ბ ა რ ი

დიდებულის მცხედრის წინაშე

ამ ჟამად მთელი საქართველო გამსქვალულია ერთის გრძობითა და ერთის ფიქრითა. ეს გრძობა და ფიქრი ნეტარ-ხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის მიცვალების ამბავმა აღძრა. ყველა ჰეშმარტი და გულწრფელი ქართველი, რომლის თვალთა ხედვა და ყურთა სმენა მთელს სამშობლოს სწვდება, გრძობს კიდევ, რომ ჩვენს ქვეყანას საუკეთესო შვილი დააკლდა, ჩვენს ცაზედ ბრწყინვალე ვარსკვლავი მოსწყდა. თუმცა სახელოვანმა მღვდელ-მთავარმა საკმაო ხანგრძლივი სიტკიცხლე განვლო და ამ სიტკიცხლის დროს ბევრი იღვაწა და იშრომა, უხვად სთესა კეთილი და სიმართლე და, მაშასადამე, საქმენი ჰქმნა და შეასრულა, მაგრამ იმის მიცვალებამ მაინც ყველას გულში ძარღვი ჩასწყვიტა. თვითუფრო შეგნებული ქართველი მწუხარობს და გლოვობს. ძაძა-ჩაცმული სამშობლო ცრემლს აფრქევს. ყველა ქართველი შესტკერია იმ ადგილს, სადაც აწმდებარებს გვამი ყოვლად უსამღვდელოების მწყემსისა და სადაც მისი კურთხეული მარჯვენა ჯერ ისევ მაღლსა ჰფენს საამბორებლად შეკრებილს სამწყასასა. რა არის მიზეზი ასეთის საერთო და საერთოე გო-

დებისა? რასაკვირველია, მხოლოდ რჩეულს, ზეგარდმოცხებულს და დიდ-ბუნებოვანს გვამს ძალუძს მიიზიდოს, დაიპყროს, და დაიმორჩილოს მთელის ერის სული და გული, მისი ფიქრი და გრძობა. სწორედ ასრეთი ბრძანდებოდა განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი და მიზეზიც ეს არის, რომ იმის მიცვალების ამბავი გლოვის ზარად გაისმა მთელს საქართველოში. ხარისხი და მოხელეობის ადგილი აქ არაფერ შუაშია. ვინ იცის, რამოდენი ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი და კათალიკოსი გარდაცვლილა და სამშობლოს მაინც ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია. ბევრი ქუთათელი და გენათელი ჰყოლია საქართველოს, მაგრამ იმათი სახელი სიკვდილის უმად გამქრალა. საქმე ხარისხი და საჩინო სამსახურის ადგილი როდია. საქორა, რომ მოღვაწე თავისის ნიჭითა, ზნითა და მოქმედებით ამშვენებდეს იმ მოხელეობას, რომელიც ხვედრად რგებია. მარტო მაშინ არსდება სამშობლოსა და მოღვაწეს შორის სანატრელი კავშირი და დამოკიდებულება. ეს უნდა ითქვას უფრო სასულიერო პირზედ, საეკლესიო მსახურზედ. თავისის ბუნებითა და ხასიათით სასულიერო და საეკლესიო მოღვაწეობა ისე მაღლა სდგა, რომ ეპისკოპოსს, თუ სხვა უმაღლეს წარმომადგენელს ეკლესიისას ესაჭიროება განსაკუთრებული ზეციური მაღლი, მაღალი და ბრწყინვ-

ლე გონება, წმიდა და სპეტაკი გული. დიდი და მძიმე მოვალეობა აწევს ეკლესიის წინამძღვარს, როცა ქვეყანას განსაცდელი თავზე აღგია, როცა სამშობლოს წმიდათა წმიდას შეწყვიტას უბირებენ და საუკუნოებით შეძენილს, მოპოებულს თვითებას მზაკვრის ხელით შეგლახვას უქადიან. აი სწორედ მაშინ უნდა აენთოს სულიერი მწყემსი ცეცხლებრივ მგზნებარე რისხვითა დამახვილი თვისი არ ჩაავოს, ვიდრე მოსეული მტაცებელი არ უქუ იქცევა...

ასეთი იყო ძველად ჩვენი სასულიერო წოდება. დიდი და ძვირფასია მისი ღვაწლი ქვეყნის წინაშე. ამ წოდების მეოხებით მოხდა, რომ საქართველოს ეკლესიამ მაღლე მოიპოვა თვით არსებობა და დამოუკიდებლობა და შემდეგ ამისა ფიხიელი და სასტიკი მფარველი შეიქმნა თავისუფლებისა. მოსასმენლად-კი საშინელებია ის ტანჯვა და გვემა, რომელიც სამშობლო ეკლესიას გამოუვლია, მაგრამ, ჩვენდა სასიქადულოდ ტსაბედნიეროდ, ამ ეკლესიის წარმომადგენელთა სწორედ მაშინ გამოუჩენიათ საოცარი მხნეობა და საკვირველი ზნეობრივი ძალა, როცა ჩვენს სარწმუნოებრივსა და საერთოე თვითებას განსაცდელი დასდგომია. რასაკვირველია, გარეშე მტერი უფრო სტანჯავდა საქართველოს ეკლესიასა, მაგრამ ხანდახან არც შინაურებისაგან იყო მოსვენება. ორსავე შემთხვევაში ჩვენის ეკლესიის უმაღლესი იერარქია მედგრად ებრძო-

და ჟამთა სიღვესს და, სხვათა შორის, ამ ბრძოლის შედეგია, რომ საქართველომ თავისი ეროვნება დაიცვა. ძველის დროის სასულიერო კაცი იგივე მეომარი იყო, როგორც სხვა წოდების ქართველი. იგინი მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ პირველი ჯვართ იბრძოდა, მეორე — იარაღით. მაგრამ ორივეს აზრად და სავნად ისა ჰქონდათ რომ დაცულ ყოფილიყო უზენაესი საუნჯე, რომელსაც სამშობლო და მისი თავისუფლება ეწოდება სახელად...

განსვენებულს ეპისკოპოს გაბრიელზედ ბევრი თქმულა და დაწერილა. იმის ცხოვრება და მოღვაწეობა ყველამ იცის. დიდება მისი განითქვა სამშობლოს გარედ, — შორს, ძლიერ შორს გაისმა მისი სახელი... თქმულისა და დაწერილის გამოვრება არც საქიროა და არც დიდებულს მცხედარს შეშვენის. მაგრამ რამდენიმე ახალი სიტყვა და ზოგიერთა ძველის ამბავის მოგონება მეტი არ უნდა იყეს და ჩვენც მარტო ეს გვესტრს. პირველადვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნეტარ-ხსენებულს მწყემს-მთავრს გაბრიელს განსაკუთრებული მნიშვნელობა და ადგილი ჰქონდა საქართველოს საეკლესიო იერარქიაში. გონებრივ და ზნეობრივ იგი თითქო მარტოდ და განცალკევებით იდგა, განსხვავებულს მიმართულებას მისდევდა, თვისის გზით ვილოდა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ბუნებით უხვად დაჯილდოვებულმა ეპისკოპოსმა ვრცელი და საფუძვლი-

ანი, საფილოსოფიო და სამეცნიერო განათლება მიიღო. მხოლოდ ასეთს განათლებაში მოიპოება დაუშრეტელი წყარო გონების სიფხიზლისა და სინათლისა, რომელიც ასე დიდად საქიროა ყველა მოღვაწისათვის, წოდებისა და ხარისხის განურჩევლად. თვით ნამდვილი და ცხოველი ზნეობაც ამ წყაროდან მომდინარეობს, ამ ვრცელსა და საფუძვლიანს განათლებაში პოულობს საზრდოსა. საღვთის-მეტყველო და საეკლესიო სწავლა, რასაკვირველია, მიუცილებლად საქიროა სასულიერო კაცისათვის, მაგრამ, თუ ეს სწავლა შეზავებული არ არის აწინდელ მეცნიერებითა და ფილოსოფიით, მაშინ ვნება და ზარალი უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე და სარგებლობა. ისე არა აქნაგებს-რა გულისა, როგორც ცალ-მხრივი სქოლასტერივი განათლება. ამ ჰეშმარტიტებს დიდი ხანა მიხვდნენ ევროპაში და ამიტომაც იქ სასულიერო კაცთა განათლება ვრცელი და ფართოა. სწორედ ასეთი სწავლა უნათებდა დიდებულს ჩვენს მწყემს-მთავარს მოღვაწეობის გზასა, რომელიც ბევრჯერ და ხშირად მოცული იყო შავითა და ზნელით. ტყუილად კი არ ამბობდნენ განსვენებულს გაბრიელზედ — „მეცნიერი ეპისკოპოსია“... დრო და ჟამიც ხელს უწყობდა ამ მეცნიერების მქონე სულიერს მამას. განსვენებული ეპისკოპოსი ბერად აღიკვეცა და კათედრა



„კავკასის“ რედაქციისათვის მოკითხნა თავისი გაზეთივე დაბეჭდილი ბალანსები და შემოწმებინა რამოდენად ჰგავს მართლსა უკადრისი და ყოველ სიმართლეს მოკლებული ლაპარაკი იმ წარა-მარა მწერლისა, რომელსაც ილია ხონელი ჰქვია.

რედაქცია „კავკასისა“ მოვალე იყო ესე მოქცეულიყო. სამეურნო კრედიტის საქმე ახალი საქმეა და ამას პირველშივე ტყუილებით და თავდაუპყრელ ცილებით-კი არ უნდა კაცმა წაუხდინოს სახელი, არამედ უნდა შეეწიოს, უშველოს ჰკვიანურის და გულ-მართალის დარჩეობითა და რჩევითა. ეს სალაღობო ფელეტონის საქმე ხომ არ არის, რომ მარტო მასხარაობა მოეთხოვებოდეს. საზოგადო და საპატივო საქმეა. სხვა არა იყოს-რა, დღეს ოთხასზე მეტი კაცი ჰყავს წევრად და ამათ ხუთი ათას თემანზე მეტი ფული აქვთ თავისი ჯიბიდან გადადებული ამ საზოგადო საქმისათვის. ამ ოთხასის კაცის პატივი მიიწი უნდა შეენახა „კავკასს“ და არ ეკადრნა ტყუილებით ამათ წინაშე წინ წამოდგომა ასე მოაზრდებოდა.

„კავკასსა“, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მართებული გზა არ ირჩია. რაღაც გაუგებარის მიზეზის გამო უმჯობესად დაინახა ეს ოთხასი კაცის საქმე ილია ხონელის ყბად ასადებად გაეხადნა და მისის ცილებით მოესვარა. თვითონ „კავკასსა“ განსაჯოს რამოდენად მართებულია ასე გაუბატოურება ამოდენა ხალხის საქმისა, ასე უმართლოდ, უკადრისად გაწირვა ამ ოთხასის კაცის ინტერესებისა—მერე რა გზით? მარტო ტყუილების და ცილების მოწყალეობითა.

აი „კავკასსივე“ დაბეჭდილი ბალანსები რას ამბობენ და მერე ჰნახეთ იმავე საგნებზე რას ამბობს ფელეტონი „კავკასისა“.

საპირველ აგვისტოდ წევრთა ფული ასულა, 37,735 მანეთამდე, წევრად შესულა 191 კაცი, ვექსილებით გაუსესხებიათ 16, 000 მანეთი.

საპირველ სექტემბრად წევრთა ფულს უმატნია და ასულა 41, 125 მანეთამდე, წევრთა რიცხვი ასულა 246-მდე, ვექსილებით გაუსესხებიათ 30, 725 მან.

საპირველ ოქტომბრად ასულა: წევრთა ფული 44200 მანეთამდე, წევრთა რიცხვი 302, ვექსილებით გაუსესხებიათ 45, 755 მან.

საპირველ ნოემბრად ასულა: წევრთა ფული 47, 410 მან., წევრთა რიცხვი—340; ვექსილებით გასესხებული 51495 მან.

საპირველ დეკემბრად ასულა: წევრთა ფული 48105 მან., წევრთა რიცხვი 395, ვექსილებით გასესხებული 66, 445 მან.

ხომ აშკარაა, რომ თვე და თვე წევრთა ფულსაც უმატნია, წევრთა რიცხვსაც და ვექსილებით გასესხების ოპერაციასაც. მაშასადამე, უმატნია თვით ნდობასაც, იმიტომ, რომ სხვა რაში გამოისახება ნდობა თუ არ იმაში, რომ ფულიც შეაქვთ და წევრადც შედიან. ახლა ყური დაუგდეთ ილია ხონელის და მასთან ერთად „კავკასის“ თავ-გასულს ლაპარაკსა და კანდიერად წაშლას და შეგინებას ყოველ იმისას, რასაც სიმართლე და მართალი ჰქვია.

წევრნი არ-კი მოდიან, მიდიან(!), ოპერაციები არ მატულობს-კი, კლებულობს(!), საზოგადოების მიმართ ნდობა არკი მტკიცდება და მაგრდება, ჰქრება(!) და სხვანი და სხვანიო. გაგიგონიით სადმე ასეთი აშკარა, ასეთი კანდიერი, ასეთი უსირცხვილო ტყუილი!.. რომ ილია ხონელს ვერ

გაერჩიოს რომელია მატება და რომელი კლება,—ეგ საკვირველი არ არის, იქნება, მაგის უნარიც არ აღირსა ღმერთმა. „კავკასის“ რედაქციისაგან კი ფრიალ და ფრიალ საკვირველია. ან იქნება „კავკასსა“ სთქვას, რომ მე ილია ხონელის თქმული უფრო მჯერა, ვიდრე რაღაც ბალანსების სიტყვაო. ღმერთმა მშვიდობა მისცეს, თუ ესეა. ხოლო ჩვენმა მკითხველებმა კი უნდა იცოდნენ, რომ იმ ბალანსებს ხელს აწერს სამი კაცი გამგეობისა, რომელნიც კანონის წინაშე პასუხის მგებენნი არიან, თუ მცირედი ტყუილი რამ გამოერიოს ბალანსში. ილია ხონელს-კი რა დარდი შეაწუხებს, თუნდ ერთის მაგიერად ათასი ტყუილი სთქვას. ღმერთმანი, სიყვარული მართლისა ხელს დაუქერს, ან ტყუილის უკადრისობას შეუშინდება!

მართალია, ილია ხონელი ეს ორი წელიწადია რაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, გაგვიხდა ХОЗЯЙНОМЪ ПОЛОЖЕНІЯ, როგორც რუსები იტყვიან და ეხლა იქნება ოფიციალური დანიშნულებაც რამ მიიღო, რომ ჩვენი ოფიციალური გაზეთი ასე განუკითხველად მის ფეხს-ხმას აჰყოლია და მისს უნარს მწერლობისას კბილს არ უსინჯავს.

ახალი ამბავი

26-ს იანვარს ამა მდგომარის წლისა, პირველსა ეამსა, დიღვეულ, გარდაიცვალა მღვდელთ-მთავარი იმერეთისა გაბრიელ, შემწყწარე ქვრივთა და ობოლთა, სასწავლებელთა და სასწიფლოთა შემწე, მამაკაცი მადლისა გონებისა,—განვლილი ფილოსოფოსთა სწავლათა შინა, მაგალითი უბრყვილო ცხოვრებისა, მშვიდი, მდა-

ბალი, პატივცემული და საყვარელი ყოველთაგან, მამა სამწყსოა და ნათელი განათლებისა, უებრო მქადაგებელი. ოქროვანი სიტყვანი და მოქმედებანი მისნი ემსგავსებოდნენ შრომასა დიდთა მათ ჩვენთა წმიდათა მამათასა, რომელთა ისახელეს განმშვენება უფლისა და მაცხოვრისა იესო ქრისტეს ეკლესიისა. საუკუნომცა არს ხსენება მისი!..

ღმერთალ-დიუტანტი უგანათლებულესი თავი გრივად დაღიანი.

* ჩვენის ძვირფასის აწ განსვენებულის მწყემსმთავრის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების გამო ამ სამ დღეში შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები მივიღეთ სხვადა-სხვა ადგილიდან:

ზარკოვიდან: „ზარკოვის ქართველობა მწუხარე გულით უერთდება სამშობლო ერის გლოვის ღირსი და უფიქვარ საზოგადო მოღვაწის და სამაგალითო მწყემსთ-მთავრის გაბრიელისადმი, რომელმაც დალია დღენი თვისნი ერის ზნეობრივ და გონებრივ აღზრდაში.“

განხიდან: „ზაქათალის ოლქის საზღვდლოება თავისი სამწყსოთი გულითადის მწუხარებით ილოცს, რათა უსაყვარლის მწყემსთ-მთავრის გაბრიელის სულს განსვენება მიენიჭოს.“

სოხუმიდან: „მრავალის ხალხის თანადანსწრებით პანაშვიდი გარდაცხადეთ განსვენებულის გაბრიელის სულის მოსახსენებლად.“

ოდეხიდან: „დიდად შეგვაწუხა საყვარელის მწყემსთ-მთავრის გაბრიელის გარდაცვალებამ; შეუერთდებით საზოგადო მწუხარებას—ოდეხის ქართველები.“

თემრიუქიდან: „ეს არის გაზეთებმა გვაუწყეს სამწუხარო ამბავი—ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალება. არ ვიცით როგორ გამოვს-

თქვათ ჩვენი მწუხარება. საქართველოთან ერთად ჩვენც დიდად ვიგლოვთ. აღარ გვყავს სიმართლის ქეშმარიტებისა და კეთილის ხელთაშეკრალი; აღარ გვყავს ის, ვისი ძლიერი სიტყვა და ქრისტიანური ცხოვრებაც ასე ძლიერად ჰმოქმედებდნენ სამწყსოს სულსა და გულზე. თოფურია, ბერიძე, მიქაბერიძე და მკავარიანი.

კივიდან: დღეს გადავიხადეთ პანაშვიდი დაუფიქვარის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად; განგისვენოს უფალმა ძვირფასო მოძღვარო, სახსენებელი შენი მარადის დარჩება ქართველ ერის ხსოვნაში. ქართველი სტუდენტები.“

ნახიჩევნიდან (ერევნისა): ეს არის გარდაცხადეთ პანაშვიდი განსვენებულის ეპისკოპოსისა ამ მართლა და მოსიყვარულე, მზრუნველ და მაღალ ყოვლად უსამღვდლოესს მწყემსისა საქართველოს ეკლესიისა, რომელიც საქმითა და ძლიერის სიტყვითა ემსახურებოდა ჩვენს პროგრესს; ვიჩქარით შევეუერთოთ ჩვენი მწუხარება საერთო გლოვას. ნახიჩევნისა და ბაშნარაშენის ქართველები.

პეტერბურგიდან: პეტერბურგში მცხოვრები ქართველნი მეტად შეგვაწუხა გარდაცვალებამ ძვირფასის და შეუღარებელის ეპისკოპოსის გაბრიელის, რომელმაც შესწირა თავი თვისი ერის გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას. ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას საერთო გრძნობებს. არჩილ ფლავანდიშვილი, დიმიტრი მაყაშვილი, იოსებ ბაბუნძი, ლუკა ბაბუნძი, ალ. კიკნაძე, სოლომონ ბარაშვილი და იოსებ ვაჩაძე.

იქიდაძე: პეტერბურგის ქართველი სტუდენტები მეტად შეგვაწუხა გარდაცვალებამ დაუფიქვარის ეპისკოპოსისა, რომელიც იყო ნამდვილი

მიიღო მაშინ, როცა რუსეთში დაიწყო ახალი გონებრივი მოძრაობა და საძირკველი ჩადგა სხვა-და-სხვა საკეთილო და სასარგებლო ცვლილებას. იმ დროს ყველა, ერი და ბერი, ვისაც-კი ჰქვენისა რამე გაეგებოდა და მისთვის გული შესტკიოდა, აღფრთოვანდა მაღალის აზრითა და გრძნობითა. ყველგან გაისმოდა წმინდა მოძღვრება ძმობისა, ერთობისა, თავისუფლებისა. რასაკვირველია, ასეთმა ზეციურმა მოძღვრებამ მზა სადგური ჰპოვა ახალგაზრდობად განათლებულ ეპისკოპოსის სულსა და გულში. მღვდელთ-მთავარი აღიჭურვა მოციქულმწიგნობრის მხნეობითა და თავ-განწირვით და შეუდგა წმიდა მოვალეობას. ხოლო რა ძალა და გავლენა ჰქონდა მის სიტყვას, ამას შემდეგი ამბავიც ამტკიცებს: ერთხელ განსვენებული ეპისკოპოსის სამწყსოს ესაუბრებოდა ბატონ-ყმობის მოსპობაზედ. ვილაცა უკეთურმა აზნაურმა განიზრახა მწყემს-მთავრის სისხლის დანთხვევა და მახვილიც თუ რამე ამოიღო, მაგრამ ქადაგებამ ისე მოხიბლა თვით უკეთურიც, რომ ბოროტებისა თითონვე შერცხვა და განშორდა სატანასა..

მრავალი დაბრკოლება აღმოუჩნდა მწყემსთ-მთავარს, მაგრამ იმის შეუდრკველმა ხასიათმა ყველაფერს სძლია, მისმა ზნეობრივმა ძალამ განწმინდა და განაახლა ეკლითა და დვარძლით სავეს ხეული ცხოვრებისა. ჩვენი საეკლესიო ისტორია მოწმობს, რომ საქართველოს ერსა და კერძოდ სა-

სულიერო წოდებას, ჯამითი-ქამად და სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, უცნაური ზნეობრივი სენი ევლინებოდა, საზოგადოებას მრავალ-გვარი ბიწიერება და ცოდვა ეფინებოდა, თითქო გადამდები მოარულიაო. ამ დროს ქვეყნის გულ-შემატკივარნი კათალიკონნი და მღვდელ-მთავარნი იწვევდნენ კრებას და იგი კრება უმაღლეს სამსჯავროსა და საბჭოს წარმოადგენდა. მეტადრე ხშირი იყო ესეთი კრება დასავლეთ საქართველოში და დიდს სამახურსაც უწევდა ქვეყანას. მაგრამ ეს მაშინ, როცა ჩვენი ეკლესია დამოუკიდებელ და თავისუფალ დაწესებულებად ითვლებოდა... მოისპო ძველი კრება და ქართველ მღვდელ-მთავარსაც ბევრად დაუმძიმდა ტვირთი. მეტად მძიმე შეიქნა იგი ტვირთი გაბრიელ ეპისკოპოსისათვის და ეს მით უფრო, რომ სამწყსოს მდგომარეობა ძველებურს სენსა და ჭირს მოასწავებდა ზე განკურნებას თხოულობდა,—ამ განკურნებაზედ იყო დამოკიდებული მთელის სამწყსოს მერმისი და მომავალი.

ჩვენი ისტორია არასოდეს არ დაიწყებს განსვენებულის ეპისკოპოსის დიდს ღვაწლს ამ შემთხვევაში და მაღლობით გარდასცემს მომავალ შთამომავლობასა. თავისის სამწყსოსათვის დიდი ხანია ისეთი გულწრფელი ზრუნვა არავის გაუწევია, როგორც ნეტარ-ხსენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა გამოიჩინა. ამ მხრით იგი ძველის დროის მღვდელ-

მთავარს ემსგავსებოდა. მაღალი, ბრწყინვალე გონება და კლდესავით მტკიცე ხასიათი, სასტიკი და უღმობელი მხილება ბოროტებისა და ბიწიერებისა, განუშორებელი ფიქრი ეკლესიისა და სამღვდლოების აღსადგენად და მრავალი სხვა კეთილი თვისება ქყონდიდღებრივს შარავანდელსა ჰფენს განსვენებულ ქუთათელ ეპისკოპოსსა. ყველამ კარგად იცის, რა შრომა მიიღო გაბრიელ ეპისკოპოსმა ქრისტიანობის განსამტკიცებლად აფხაზეთსა და სვანეთში, როგორი მოციქულმწიგნობრივი სიმხნევე იხმარა ამ დიდის საქმის მისაღწევად. აგრეთვე არავისთვის დაფარულია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის მეოხებით ჩვენი სამღვდლოება გონებრივ და ზნეობრივ ამადლოდა, სწავლას კარი გაეღო, სამწყსოს და სამღვდლოების ურთიერთი დამოკიდებულება საკეთილოდ დაარსდა. დიდად, განსვენებული ნამდვილი ღვთის მამა იყო სამწყსოსი და არა მამინაცვალი, როგორც სხვებნი არიან!..

მაგრამ უფრო დიდი ღვაწლი დასდო განსვენებულ ეპისკოპოსმა ქართულს საეკლესიო მკვირმეტყველებას. აქ დიდებულმა მქადაგებელმა სრულიად ახალი მიმართულება შექმნა, ახალი გზა უჩვენა საორატორო ხელობას და სიტყვიერებას. ჩვენი ძველი ქადაგება უფრო საეკლესიო და საღმრთო მოძღვრების განმარტებას მისდევდა, ხოლო საზოგადო ცხოვრების მსვლელობას, მისს ავსა და

კარგსა უკრავდებდას არ აქცევდა. საეკლესიო კათედრიდან უმეტესად დოღმატებრივი სწავლა გაისმოდა, ორთოდოქსალი ზნეობრივი მოძიერება იფინებოდა; ასეთის შინაარსისა და კილოს ქადაგება იქნება იმ დროს აუცილებელი და საჭიროც იყო, მაგრამ აწინდელ დროთა ვითარებას იგი არ შეეფერებოდა. ახლა საეკლესიო მქადაგებელი საერო ტრიბუნიც არის და ამიტომ სხვადა-სხვა საზოგადო საკითხავს პასუხი უნდა აგოს, მრავალგვარ ჭირსა და წყლულს წამალი უნდა უჩვენოს, საჭიროების დროს ჯვართა და კვერთხით წინ უნდა უძღოდეს სამწყსოს... დრო სქოლასტრიკის ვარჯიშობისა განქრა, ჯამი ორთოდოქსალის დღადებისა წავიდა. ახლა საეკლესიო კათედრა უნდა განახლდეს და საერო ტრიბუნას შეუერთდეს. ეს საჭიროება ამ საუკუნის დამდევს სახელოვანმა ამბროსი ნეკრესელმა შეიგნო. ნიჭიერი მქადაგებელი მიხვდა, რომ საეკლესიო კათედრას ცვლილება ესაჭიროება. ნეკრესელის თითო-ორიო ქადაგებაში საერო ჰანგი მოისმის, საეროვნო ტრიბუნის გულის-თქმა იხატების. მაგრამ დიდებული ნეკრესელი მანც ძველს გზას ვერ ასცილდა და თითქმის მთელი თავისი საკვირველი მკვირ-მეტყველება ისევ საორთოდოქსო და სასქოლასტიო ვარჯიშობას შეაღია. მხოლოდ განსვენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა მოახდინა ის ცვლილება, რაც ვერ შესძლო მის-

მა წინამორბედმა ნეკრესელმა. ჩვენი საეკლესიო ისტორია ასო-მთავრულად აღნიშნავს ამ მოვლენას და სასიქაძულოდ მოიხსენებს, რომ ქართულ საეკლესიო სიტყვიერებაში ახალი და შემოქმედებითი დრო გაბრიელ ეპისკოპოსიდან დაიწყო. მართლაც-და, ამ მწყემსთ-მთავრის საკათედრო სიტყვიერებას სრულიად ახალი ხასიათი სდევს. კილოს აიღებთ თუ შინაარსსა, ფორმასა თუ აზრსა,—ყველას თავისებურება ამჩნევია, ყველას ახალის შემოქმედების ბეჭედი აზის. თვითვეულს სიტყვას, თვითვეულს ქადაგებას საერო ჰანგი ამკობს, საერო კილო ამშვენებს. და როდესაც ამ სიტყვათა და ქადაგებათა კითხულობთ, თქვენ თვალ-წინ, ხელოვნურად დახატულ სურათით ვითა იშლება მოელი ცხოვრება თავისის ავითა და კარგით. მომხიბლავი ძალა აქვს ამ ახალის ოქრობის მკვირ-მეტყველებას და მიზეზიც აქ არის, რომ მისი ნაწარმოები ინგლისურად სთარგმნეს. მხოლოდ განათლებულ ევროპაში შეხვდებით ისეთს საეკლესიო მქადაგებელს, რომელიც სახალხო ტრიბუნიც არის. ამიტომ პირველადაც მარტო ევროპამ დააფასა ჩვენი დიდებული მქადაგებელი, ეს სახელოვანი ტრიბუნი. დიდება და ნეტარება განსვენებულს მწყემს-მთავარსა!..

ნ. ურბნელი.
4 თებერვალი.

წარმომადგენელი და ღირსი მოადგი-
ლე იმ ქართველ ეკლესიის იერარ-
ქია, რომელიც მედგარდ იცავდნენ
რჯულს და ქრისტიანთ დროშას.

* ჩვენ მოგვივიდა აწ უკვე გან-
სვენებულის მწყემსთ-მთავრის გაბ-
რიელის ანდერძის კაპიო. როგორც
ანდერძიდან სჩანს ყოველად სამღვდ-
ლოს უანდერძობა 1) ს. ბახვის სა-
სოფლო სკოლისათვის 12.200 მ.
2) იმერეთის საეპარქიო სამრეწვე-
ლოს ღარიბთათვის სასულიერო წო-
ლებიდან 2000 მ. 3) ქუთაისის სა-
ქველ-მოქმედო საზოგადოებას 1500
მ. 4) ქუთაისის სასულიერო სასწავ-
ლებლის ღარიბი მოსწავლეთათვის
3000 მ. 5) ქუთაისის სასულიერო
სემინარიის ღარიბი მოსწავლეთათ-
ვის 3000 მ. 6) იმერეთის ეპარქიის
საქალაქო სასწავლებელს, რომელიც
ყოველად სამღვდლოს სახელზედ არის
დაარსებული 5000 მ. 7) ქუთაისის უფ-
ასო საქალაქო სკოლას 2000 მ. 8)
გელათის მონასტერს 1000 მ. (იმ
პირობით, რომ ამ ფულიდან პრო-
ცენტი ეძლეოდეს გელათის მონასტ-
რის ბერებს, რომელთაც უნდა ილო-
ცონ ყოველად სამღვდლოს სულის სა-
ოხად) 9) ქუთაისის სასულიერო სასწავ-
ლებლის მმართველობას ყოველად სა-
მღვდლოს თხზულებათა გამოცემის
უფლება, იმ პირობით, რომ წმინდა
შემოსავალი დაიხარჯოს ღარიბ შვი-
რთა სასარგებლოდ. ხოლო ამ თხზუ-
ლებათა გამოსაცემად მწყემსთ-მთავრის
დაუტოვებია 2,500 მან.

სულ 32,200 მანეთი დაუტოვებია
განსვენებულს მღვდელთ-მთავარს საქ-
ველმოქმედო საქმეებისათვის. ეს ფუ-
ლები ზოგი ქუთაისის სათავად-აზნა-
ურო ბანკში ყოფილა და ზოგიც
ტფილისის სახელმწიფო ბანკის გან-
ყოფილებაში. დღემდის რაც პრო-
ცენტები შამოვიდა ის მღვდელთ-
მთავრის დასაფლავებისათვის უნდა
მოახმარონ.

სხვა-და-სხვა მღვდელთ მთავრის
სამოსელი დაუტოვებია ეკლესიები-
სათვისა და სასულიერო პირთათვის.
თავისი წიგნთ-საცავიკი ყოველად
სამღვდლოს უანდერძობა ქუთაისის
სასულიერო სასწავლებლის მოწაფე
ბისათვის.

ქუთაისი: აქ შესდგა კომიტეტები
თავად-აზნაურებისაგან, ქალაქის ხმო-
ნებისაგან და თვით სამღვდლო
პირთაგან, რომელთაც გადასწყვიტეს
რომ გვამი საყვარელის ეპისკოპოსის,
უეჭველად მიებაროს მიწას გელათის
მონასტერში, როგორც თვითონ ან-
დერძშიაც მოხსენებულია. მაგრამ,
რადგან ესლა თითქმის ყოველი მხრი-
დამ გზა შეკრულია და ხალხს არა
აქვს არავითარი ღონისძიება დაეწ-
როს დასაფლავებას უზომოდ დიდის
თოვლისა გამო, ამიტომ გვამი დაკ-
რძალულ იქნება დროებითსაკათედ-
რო ტაძარში, სანამ არ გამო-
იღარებს და შესაძლებელი არ
იქნება მისი ღირსეულად განსვენ-
ება. სამღვდლოებას სურს დასაფ-
ლავოს დავით აღმაშენებლის გვერ-
დით და ორივეს ერთად სამლოცვე-
ლო ან ეკლესია აუშენოს. გამოსვენ-
ება სახლიდან მოხდება ხვალ, სამს
თებერვალს.

ქალაქის რჩევამ უკვე გადასწყვიტა
ხუთასი მანეთი დაურვიდეს ღარიბ
მცხოვრებლებს ამ გაკვირვებულ დროს
განსვენებულის სახელის მოსახსენებ-
ლად.

ყოველ დღე პანაშვიდს იხდის ეპის-

კოპოსი ალავერდისა ბესარიონი არ-
ქიელის სახლში დილით თორმეტ სა-
ათზე და საკათედრო სობოროში დე-
კანოზი ცვაგარიშვილი და სხვა სამ-
ღვდლოება ნაშუადღევს 5 საათზე.
ხალხი და მთელი სამღვდლოება
უზომოდ არიან შეწუხებულნი და
ცხარე ცრემლით სტირიან ძვირფასს
დანაკარგს.

* ოდესის გახეთების სიტყვით,
ოდესაში საეპიშოპო ფაკულტეტის და-
არსების საქმე გერ კიდევ დიდხანს
არ გადაწყდება. ესლა მხოლოდ იმა-
ზედ არის ბაასი, სად ააშენონ კლი-
ნიკასთვის საჭირო შენობები.

* როგორც ვახ. „კასპი“ გვა-
უწყებს ბაქოში 27 იანვარს გამარ-
თულ ქართულ საღამოდამ შემოსუ-
ლა 4000 მანეთი. ხარჯს გარდა წმი-
და შემოსავალი უნდა დარჩეს 2500
მანეთი.

* ოდესიდან გვატყობინებენ: აქა-
ურ საღვთოში ორასზე მეტი ქართვე-
ლი მუშაა. ამათში ერთიც არ ურე-
ვია ისეთი, რომ დედანაზე წერა-
კითხვა არ იცოდეს. ბევრს მათგანს
სწყურია იკითხონ თავისუფალ დროს
ჩვენი მწერლების ნაწარმოებნი და
ქართული ჟურნალ-გაზეთებიც. აქა-
ურმა ქართველობამ კარგა ხანია მი-
აქცია ამ საქმეს ყურადღება, ვითომ
კიდევ მონაწილე დაეკავოფილებინა
ეს წყურვილი, მაგრამ ჯერ-ჯერო-
ბით სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვე-
რაფრის გაკეთება ვერ მოახერხა. ახ-
ლა რაკი ახალი მოიჯარადრენი და-
ინიშნენ, ყველას იმედი მოგვეცა,
რომ ეს ფრიად საჭირო საქმე გან-
ხორციელდება. მუშებისთვის გამო-
წერილი იქნება ჟურნალ-გაზეთებიც
და პატარა წიგნთ-საცავიც მალე და-
არსდება.

* შორაპანი: მთელი ქიათურის
გზა და საღვთოები თოვლშია დამა-
ლული. ტელეგრაფის მავთულებს
ნიჩბებით ეძებენ და ისე აკეთებენ.

* ბარის ოსები. ვაზეთ რივე-
რისი № 21 გვაცნობა ზარდამ-
ცემი ანბავი, საქართველოს სასიქა-
დლო და ძვირფასი და დაუფიწყ-
არი მღვდელ-მთავრის გაბრიელის გა-
რდაცვალება. ოც-და-ათს იან-
ვარს სოფ. ხუმელაგის ეკლესია-
ში გარდახდულ იქნა პანაშვი-
დი სულის მოსახსენებლათ დაუ-
ვიწყარი მღვდელ-მთავრისა, მღვდელთ
ნესტორ ბაკურაძის და სვიმონ
მარკოზაშვილის მიერ. პანაშვიდზედ
დაეწრო რამდენიმე მასწავლებ-
ლი ოსთაგანი.

* იქიდავანვე. წლებადელი ზა-
მთარი იანვრის შვიდამდინ მშვენიე-
რი კარგი და თბილი ამინდით მი-
დიოდა. იანვრის რვას აქეთ, ოცდა-
ათამდინ, დღე გამოშვებით სულ
ერთ თავათ სთოვს, არშინ-ნახევრა-
მდინ თოვლი მოვიდა ბარის ოსებში.
ამოდენა თოვლის მომსწრე არა ვა-
რთო, ამბობენ მოხუცნი. მთის ოსე-
ბის მხრიდანაც დიდი თოვლიანობა
ისმის. თოვა მინც არა სწყდება.

* ძერუღა: 4 თებერვალს, დი-
ლის 9 საათზედ და 50 წუთზედ მე-
129 ვერსზედ, როდესაც საქონლის
მატარებელი № 124 მოდიოდა, მი-
წის ზვავი ჩამოწვა და ორი ვაკონი
გადასცდა ლიანდაგს. პირ-და-პირი
მიმოსვლა ისევ შესწყდა. სახალ-
ხო მატარებლები იგვიანებენ. ზვა-
ვი ათ საცენზეა ჩამოწოლილი;
— სახალხო მატარებელს ერთს
ბათუმიდან და მეორეს ტფილისიდან

მიუყენებენ ხოლმე და მეზავრები
ისე გადაწყაეთ. ისეთი გორები დგას
თოვლისა მთელს გზაზედ, რომ, თუ
ქარი აღდა, გზა უეჭველად შეიკრე-
ბა.

ქოქისკონდენციი.

ქართლი. 24 იანვარი. შესწულდა
თითქმის ოთხი თუე, რაც ერთთაგან
წვიმს და დაუდარგებს ამინდი. აღარ
დაჩნა სხელი გლეხისა და მრავალის
თავად-აზნაურისა, რომ წვეთი არ ჩას-
ვლავდეს. გლეხების მდგომარეობა ხომ
აუტანელი იყო; ამ დღე კვირით სავ-
უბელა და გჭკნდნთ ვაზა-ჟუბი ხანუ-
ზე, მაგრამ მანც კარა გაწყვეს-ა. ამას
ზედ დაერთო ათსგავრი განდასხნადი.
მერე წელს ასეა მომეტებული სარჯი
ზოგაერთა სოფლებში, რომ იმას, ვა-
საც ერთის თვის საჩხო არ აქვს,
მარტო ფასტის ფული 15—20 მან-
ეთი შეჭვება და სხვა სარჯი კიდევ
სხვაა. თუ მსაგებლობაში მივიდეთ იმას,
რომ ჭინასხულს გასაკვლი არ აქვს,
ძალზე ითუბა, უგზო-უკლავა, გე-
მარტონება, მაშინ ნათლად წარმოვი-
დგეთ, თუ რა დიდად შევიწროებულია
წელს ამ მხარის გლეხ-გლეხობა.

იმ დროს, როდესაც ბუნავი გლეხ-
გლეხობა შევიწროებული იყო უამინდობის
გამო, ადგილი არ მოუძებნა, სხად
დაწვდილიყო და კმინდა ცრელ-შე-
ლი, საქონელი არ გამოემხნნოს; ამ
გამო-გაგლასშია, არა ჭქნდა დრო, რომ
გამოეყვება ორი ჩინახი შური
და სხვობა შიშაილით არ ამოს-
წყეტობა. ზოგაერთა ჩვენს ყოველნი-
ს გახუბტანება სტუმრებს მოკლად-
ნენ და რომ არ შევიწროებულიყვნენ
დაიბუღენი, გლეხებს უბრძანეს გზა გა-
აკეთოთ, ის გზა, რომელიც დაიბუ-
ღიანთ სასახლესთან მივიდოდეს. თით-
ქმის ერთი გვარა წელსმდის ტლანსში
დასტურება გლეხ-გლეხობა. მიმანდავა
მეათსეულთათვის რა ტანჯვა და ვაი-
გაგლასი უნდა განჭვდნდნათ?!

კან ამბობს, მოკვრათ სიფრცხლე,
კარგი და დიდად სასამოვნო, სასინ-
რულა და სასარგებლო გზების გაკე-
თება, მაგრამ ის გზები უნდა იქმნას
გაკეთებული, რომელნიც საერთოდ და
საყოველთაოდ, უსათუოდ საჭიროა და
არა მარტო მე-სა და შენ-სა. ამასთან
უნდა იქმნას დრო და გარემოება მსაგებ-
ლობაში მივიდეთ.

ბატონა, რა ეს, რა სხვა. მრავალ-
მაგალითი შემიძინა დაგისახლეთ.
„სტაროსტა“ რა არის, ეს უბრალო
სოფლის გაცნა—მნათე, ისიც-გა კიდევ
არ გაფრტვინს საწყალს ხალხს ამ დრო-
მდე კვლევისას კარებს არ გააღებს,
მაშინ როდესაც ათი-თარმეტი წელიწა-
დაა კარის გასაღება სასულიერო მთავ-
რობისაგან აღკვეთილია.

აკურ სამი ოთხი დღეა რაც თოვლს
და ისეთი თოვლი ჩამოყარა, რომ თა-
თქმის რა არშინ ნახუბანს სჭარბობს.
ბარად და მთაში რა იქნება ჯერ არ ვა-
რთო, რადგან, არა თუ მთისა, ბარის
გზებზედ შეკრულია. ამ თოვლმა ზარ-
დიც ბუკან მისცა ხალხსა. ზოგისა ვა-
განა დაინტერ, ზოგისა შენობა-გა.
თქვენ მტერი, თუ უნდა დაუთბა ამო-
დენა თოვლს და ლეღმა ჭკრა, კან იცის
რამდენი ზარალი მოიტანოს კიდევ
ცხანავი გასხენეთ და არ იქნება ურ-
თა მოგახსენოთ ისიც, რომ აქაური
სტენის მოყვარენი ყველაერთს შხაბის
ამბობენ ცხანავის რატონდაში წა-
რმადგენს საჭკველ-მოქმედო განსარ-
ხვით. ამარჩეულია შეიძლება შეიკვია:

„ბაიუში“ „გულმა იგრძნო.“ რაღუ-
ბი უკვე დაჩიკებულია და ემსახურა.
ცხანავის რატონდა დღით-დღე შეკ-
ნდება აქაურის ბაქაულის დაუღალავის
შრომით და ცდით. მხოლოდ რატონ-
დას, როგორც ეტყობა, კარა ჭხურავს
რეგანად და აინთება ფეხები თუ არა, ან
მზიანი დღეა, თოვლი დნება და წვეთი
ჩადის. მართლაც თოვლი გადაიხვეტება
სოფელს, მაგრამ მანც კარასა ჭხურავის
და მეორეც ესა, რომ მასამსახურე კერ-
უდგება ზოგს ადგილს. ამდია მატარ-
ებელი ბაქაული ამ ნაკლს მალე შეკ-
ნებს და დაგვირგვინებს რეგანად თა-
ვისგანე დაწვებულს საქმეს. სამკითხვე-
ლო წიგნთ-საცავი კი, თუმცა მომართუ-
ლი კარგად გასლავთ, მაგრამ დარბია
და ამ მხარის საზოგადოება, თითო-ორო-
დას მეტი, გულ-გრადად უყურებს, თა-
თქმის თავანთის გონების სასრდო შე-
ქმნა ბაქაულისა და ორისა და სამის
მატიასან ადამიანის მოკვლეობა იყეს!..
ჩხირ-კვლეა.

1886 წ. 24 იანვარს.

უცხოეთი

ინგლისი. არტურ ბალფურმა
ლიდერმა სიტყვა წარმოთქვა ერთ
მიტინგზე ბრისტოლში. შემცდარია
ის, ვინც ფიქრობსო, სთქვა ბალფუ-
რმა, რომ ვითომ ინგლისის პოლი-
ტიკა ხელს უშლიდეს რუსეთს, თა-
რემ აქნამდის ოსმალეთის მთავრობას
იძულებულ ჰყოფდა თავი დაენებე-
ბინა ოსმალეთის აზიის მცხოვრებთა
მხეცურად ფლელა-ხოცვისთვის. ინ-
გლისის მთავრობამ ყოველივე ღონე
ინმარა ამ უწყისობათა მოსახლობლად
და არავის არა აქვს საბუთი იმისი,
რომ ჩვენ გვისაყვედუროს. თავისი
სიტყვა ბალფურმა მით გაათავა,
რომ განუცხადა დიდი საჭიროა და
მიუცილებელია ინგლისსა და შვეი-
ტებულს შტატებს შუა უსიამოვნება
რაიმე ნაირად მოისპოსო.

ბულგარია. „ნაციონალ ცაი-
ტუნგ“ მიაკცევს მეოთხელების ყუ-
რადლებას პრინც ფერდინანდის პრო-
კლამაციის განსაკუთრებით ამ სიტ-
ყვებს: მე ყოველივე ჩემი მოვალეო-
ბა აღესარულე მათ შესახებ, რომ-
ლებსაც შეეძლოთ აეცილებინათ
ჩემთვის სხვა და სხვა დაბრკოლება,
მაგრამ ჩემი იმედები აღარ ასრულდა.
მე მოველოდი მენახა იქ, სადაც ჯერ
არს, ისეთი პირები, რომელთაც კარ-
გად ესმით და გაეგებათ რა არის
ბულგარიისათვის საჭირო, მაგრამ
ამაშიაც მოვეტყუვდი. მე ვასრულე იმ
ფიცს, რომელიც დავსდვი ჩემი სა-
ყვარელი ხალხის წინაშე და ჩემივე
ინიციატივით მინდა ავაცილო ამ
ხალხს ყოველივე დაბრკოლება. ამის-
თვის მე ვსწირავ ჩემს პირშია ძეს,
და ასეთს საშინელსა და მიიმე
მსხვერპლს ვუძღვნი ბულგარიის ერს!
„ნაც. ცაიტ.“ ამბობს, რომ ამადგი-
ლის სიტყვები ერთი მეორეს არ
ეთანხმებიანო და ყოველივე სინამ-
დელივე მოკლებულნი არიანო. პრინც
ფერდინანდს არავითარი დაბრკოლება
არავისათვის არ აუცილებია, მხო-
ლოდ ამ დაბრკოლებას გვერდი აუ-
ხვია. ჩვენ კარგად ვიცით, ზოგი დე-
პეშებით და ზოგი სხვა წყაროები-
დამ, რომ პრინც ფერდინანდის ინი-
ციატივა აქ არაფერ შუაში ყოფი-
ლა. უფრო ნამდვილია ის, რომ მი-
ნისტრებმა დააძლეს ამის აღსრუ-

ლება. პრინცს ან ტანტი უნდა მიე-
ტოვებინა, ან ბორისი მართლ-მადი-
დებლად მოენათლა. მან რასაკვირ-
ველია, ტანტის დათმობას ის არჩია
შვილი მოენათლა და ამ რიგად თა-
ვისს დინასტიისათვის ბოლგარიის სა-
მეფო ტანტი დაემკვიდრებინა. არც
ის უნდა დაივიწყოთო, ამბობს ეს
ვაზეთი, რომ პრინც ფერდინანდსა
და ბულგარელებს ეგონათ დიდ რა-
მეს გამოარჩებოდნენ ბორისის მონა-
თვლიდამ, მაგრამ ჯერ-კი ვერაფერს
კარგს ხედავენ. ხალხის წინამძღო-
ლებმა, ასე რომ ვსთქვათ, კისერში
ხელი წაუჭირეს პრინცს, გინდა თუ
არა ასე იმოქმედო, კი მაგრამო,
კითხულობს ვაზეთი, რომ აღარა გა-
მოუვიდესო რა აქედამ, მაშინ რაღას
იზამენ? ბულგარია მეტად უნუგემო
მდგომარეობაშიაო, ფიქრობს ვაზეთი,
და ერთად-ერთი შედეგი ბორისის
მონათვლისა ის არის, რომ პრინცს
ფერდინანდს ცოლი გამოარდებოა.

ამავე აზრის არიან „კელნიშე ცაი-
ტუნგი“ და „ფრანკფურტერ ცაი-
ტუნგი“. თვით პრინცესა ლუიზა,
მთელი სახლობა ჰერცოგ პარმისა
წინააღმდეგნი არიან პრინცი ბორი-
სის მონათვლისა, ამბობენ ეს ვაზე-
თები. თუ პაპმა პრინც ფერდინანდი
ექსორიალ ქნა ეკლესიიდან, მაშინ
პრინცესა ლუიზა მონასტერში შე-
ვაო.

„ნეგ ფრეი პრესის“-კი სრულიად
წინააღმდეგს ამბობს. იგი აქებს და
აღიღებს პრინცის სიბრძნეს, მის მო-
ქმედებაში ჰხედავს უმაღლესს პატრი-
ოტულს თავ-განწირულებას ბულგა-
რიის ერისათვის და თვით პრინცი
ფერდინანდისათვის დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს პრინცის ბორისის მართ-
მადიდებლად მონათვლისაო.

„კელნიშე ცაიტუნგი“ გადმოგე-
ცემს პრინცის ფერდინანდისა და პა-
პის საუბარს. პრინცმა უთხრა თუ-
რემ დიდს გაკვირვებულს და მოუხე-
რხებელს მდგომარეობაში ვარ, გთხოვთ
მიშველოთ და ნება დამართოთ. პა-
პმა თურმე უპასუხა „თქვენვე ჩივი-
დეთ თქვენი თავი ამ მდგომარეობა-
შიო. რად მოგვეცით სიტყვა,
პატიოსანის კათოლიკეს სიტყვა,
რომ შვილებს უთუოდ კათო-
ლიკედ მონათლავთ. განა ჰერცოგ
პარმი მარტო იმიტომ არ დასთანხმ-
და ამ ქორწინებაზედ, რომ ფიცი
მიეცით შვილებს კათოლიკეს სარწ-
მუნობაში აღზრდიო. თქვენნი პირ-
მშია შვილის მართლ-მადიდებლად
მონათვლა იქნებოდა ამ ფიცის დარ-
ღვევა და სარწმუნოებისა და პაპის
შეურაცხყოფა. არც ერთი მთავრობა
არ დაგიკავსთ კვირს თქვენს მოქმე-
დებზედ და არ იცნობს მას ბრძნულ
მოქმედებად“.

ფერილი რედაქციის მიმართ.

მოწყალეო ხელმწიფე
ბ. რედაქტორო!

სოფ. მეჯვრისსკეში ამა მდგომარე
წელიდან დაკარგეთ ქართული წიგნთ-
საცავი სამკითხველთა. თქვენის გაზე-
თის საშუალებით უმარჩილესათ კსთსკე
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-
დოებას, ქართული წიგნების გამომცე-
მელ ამხანაგობას, სხვა-და-სხვა წიგნე-
ბის ავტორებს და გამომცემლებს, მა-
ტიკებულ აკობ გუგუასვიას და
ყუქასს, ვინც-კი თანაგრძნობას ამ გე-
თიელ დაქსახულებას, აღმოუჩინებ ჩვენს

